რუსთავის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარე

№ 343/თ

„30“ ივლისი, 2018 წელი
ქ. რუსთავი

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

რუსთავის საქალაქო სასამართლოს და გარდაბნის მუნიციპალიტეტში მაგისტრატი სასამართლოს მანდატურის სამსახურის მანდატურებისთვის დამატებითი მოვალეობების განსაზღვრის შესახებ

რუსთავის საქალაქო სასამართლოს და გარდაბნის მუნიციპალიტეტში მაგისტრატი სასამართლოს შენობების და სასამართლოში არსებული ინფრასტუქტურის სპეციფიკის გათვალისწინებით, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთათვის სასამართლო სერვისების ხელმისაწვდომობის (შენობაში გადაადგილება, საჭირო ინფორმაციის და დოკუმენტების მიღება, სხდომის განრიგის დადგენა, სხდომის დარბაზში შესვლა და უფლებამოსილ პირთან დაკავშირება) უზრუნველსაყოფად მიზანშეწონილად მიმაჩნია განისაზღვროს მანდატურის სამსახურის მანდატურების დამატებითი მოვალეობები.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 32-ე მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ და „თ“ ქვეპუნქტების და საქართველოს პრეზიდენტის 2000 წლის 27 ოქტომბრის №466 ბრძანებულებით დამტკიცებული „რაიონული (საქალაქო), საოლქო, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლეს სასამართლოებში ორგანიზაციული მუშაობისა და საქმისწარმოების წესის შესახებ“ დებულების მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „ვ” ქვეპუნქტის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. რუსთავის საქალაქო სასამართლოს №1 და გარდაბნის მუნიციპალიტეტში მაგისტრატი სასამართლოს №2 საგუშაგოს მანდატურებს დაევალოთ:

   ა) განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ დამოუკიდებლად გადაადგილების შეზღუდვის და ეტლით მოსარგებლე პირთათვის გადასაადგილებელ პანდუსს და მასთან მისასვლელ გზას, რათა არ მოხდეს მათი უსაფუძვლო ბლოკირება და ასეთის შემთხვევაში დაუყონებლივ მიიღონ ზომები შეფერხების აღმოსაფხვრელად, თუ ეტლით მოსარგებლეს პანდუსზე ასასვლელად ესაჭიროება დახმარება №1 საგუშაგოს მანდატური ატყობინებს მანდატურის სამსახურის უფროსს დახმარების ორგანიზებისთვის, ხოლო №2 საგუშაგოს შემთხვევაში დახმარებას უზრუნველყოფს პირადად;

   ბ) სასამართლოს შენობაში შეზღუდული შესაძლებლობების მქონე (გადაადგილების, მეტყველების, სმენის ან მხედველობის განხრით შეზღუდული შესაძლებლობის მქონე) პირის შემოსვლისთანავე გამოიჩინონ განსაკუთრებული გულისხმიერება და დაინტერესდნენ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა საჭიროებით და სასამართლოში გამოცხადების მიზეზით. დაეხმარონ კონკრეტული საჭიროების

დასაკმაყოფილებლად სასამართლოს სივრცეში გარკვევასა და უფლებამოსილ პირთან დაკავშირებაში;

გ) თუ გადაადგილების შესაძლებლობის შეზღუდვის გამო ეტლით მოსარგებლე პირი გამოთქვამს სურვილს დაესწროს რუსთავის საქალაქო სასამართლოში, რომელიმე სასამართლო სხდომას, №1 საგუშაგოს მანდატურმა მანდატურის სამსახურის უფროსის მეშვეობით შეატყობინოს ამის შესახებ კონკრეტული საქმის განმხილველ მოსამართლეს, რათა შესაძლებლობის შემთხვევაში პროცესი ჩატარდეს შენობის პირველ სართულზე არსებულ სხდომის დარბაზში და უზრუნველყოფილ იქნას შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის შეუზღუდავი გადაადგილება პროცესუალური სტატუსის შესაბამის ადგილამდე;

დ) თუ შესაძლებლობის შეზღუდვა დაკავშირებულია მხედველობის, სმენის ან მეტყველების შეზღუდვასთან, ამ შემთხვევაშიც ინფორმაცია მიაწოდოს საქმის განმხილველ მოსამართლეს. ამასთან საქალაქო სასამართლოს შემთხვევაში, მანდატურის სამსახურის უფროსის მიერ განსაზღვრული მანდატურის მიერ მოხდეს დახმარებაში საჭიროების მქონე პირის მისთვის სასურველ სხდომის დარბაზამდე გაცილება და პროცესუალური სტატუსის შესაბამის ადგილას განთავსება. მაგისტრატ სასამართლოში ამ პუნქტით გათვალისწინებულ უფლებამოსილებას ახორციელებს მაგისტრატი სასამართლოს მანდატური;

2. ბრძანების განუხრელად შესრულებაზე კონტროლი დაევალოს რუსთავის საქალაქო სასამართლოს მანდატურის სამსახურის უფროსს;

3. ბრძანება ამოქმედდეს 2018 წლის 30 ივლისიდან;

4. ბრძანება გაეცნოს რუსთავის საქალაქო და გარდაბნის მუნიციპალიტეტში მაგისტრატი სასამართლოს მანდატურის სამსახურის თანამშრომლებს;

5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს გაცნობიდან ერთი თვის ვადაში რუსთავის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის. ქ. რუსთავი ბოსტან ქალაქის ქ. №6).

მამია ფხაკაძე

რუსთავის საქალაქო სასამართლოს
თავმჯდომარე